

\*  
\* \*

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,  
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?  
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,  
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?

ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილკაცობას?  
თითქოს მაძლევდი ამა სოფლად თავისუფლებას,  
ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი  
და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედა გარდამიქცევდი!

მარქვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?  
რად მომიხიბლე, აღმირიე, წრფელნი ზრახვანი?  
სად ხარ, აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები,  
რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?

წყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა  
ბრმად მივანდობდი, ვუმსხვერპლიდი ჩემთ გულისთქმათა  
მას აქეთ არის და დავუკარგე მშვიდობა სულსა,  
და ვერც ღელვანი ვნებათანი მიკვლენ წყურვილსა!

განვედი ჩემგან, ჰოი, მაცთურო, სულო ბოროტო!  
რა ვარ აწ სოფლად დამთენილი უსაგნოდ, მარტო.  
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?  
ვაი მას, ვისაც მოხვდეს ხელი შენი მსახვრალი!

1943 წ.